

სანდრო ბაკურაძე

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები  
ცივი ომის უმედეგო პერიოდში

ცივი ომის პერიოდის შემდგომი თურქეთის საგარეო პოლიტიკა, ნაწილობრივ წარმოადგენს ცივი ომის პერიოდის პოლიტიკის გაგრძელებას, თუმცა, მასში ნათლად შეინიშნება ცვლილებები, რომლებიც პირველ რიგში განპირობებულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ წარმოქმნილ სახელმწიფოებში არსებული, თურქეთისათვის ტრადიციული ინტერესებით. ტრადიციული ინტერესების და გეოპოლიტიკური ფაქტორების გარდა, თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე უდიდეს გავლენას ახდენს იდეოლოგიური, შიდაპოლიტიკური და რელიგიური ფაქტორები, რომელთა აქტუალურობაც, კონკრეტული ქვეყნების კონტექსტიდან გამომდინარე მცირდება ან მატულობს.

## ცივი ომის უმჯობესი თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფაზები

ცივი ომის დასასრულის შემდეგ თურქეთში არაერთი ხელისუფლება შეიცვალა, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ გარკვეული უცვლელი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები, საკმაოდ ბევრ საკითხში ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებულ პოლიტიკას ატარებდნენ. პირველი პერიოდი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ცივი ომის შემდგომი თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე, 1983 წლიდან, თურგუთ ოზალისა და დედასამშობლოს პარტიის (**Anavatan Partisi – ANAP**) ხელისუფლებაში მოსვლით იწყება, რომელსაც ამავე დროს თან ახლდა ეკონომიკური და ნაწილობრივ, პოლიტიკური ლიბერალიზაცია. თურგუთ ოზალის პერიოდში, ინდუსტრიალიზაციამ და საერთაშორისო საზოგადოებასთან თურქეთის ინტეგრაციამ, თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ახალი ტენდენციების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რომელიც ერთი მხრივ ევროპულ თანამეგობრობაში და საბაჟო კავშირში ინტეგრაციისკენ იყო მიმართული<sup>1</sup>, მეორე მხრივ კი, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთში, ბალკანეთში, კავკასიასა და თიურქულ სახელმწიფოებში თურქეთის გავლენის გაფართოებისკენ იყო ორიენტირებული.<sup>2</sup> თურგუთ ოზალის პერიოდშივე თურქეთში აქტუალური გახდა ორი მთავარი პრობლემა, რომელიც დღემდე დიდ გავლენას ახდენს თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე – პირველი იყო რელიგიის როლის მზარდი ზრდა თურქეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მეორე კი 1984 წლის 15 აგვისტოს დაწყებული არაკონვენციური ომი ქურთისტანის მუშათა პარტიასთან, რამაც, ქურთული საკითხი თურქეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად აქცია. ოზალის პერიოდის დოქტრინა თურქეთის გეოპოლიტიკური გავლენის ზრდასთან დაკავშირებით, პირველ რიგში კულტურულ-ეკონომიკური იყო და სამხედრო ექსპანსიონიზმი მასში არ იგულისხმებოდა. სწორედ მეზობელ და ყოფილი ოსმალეთის იმპერიის შემადგენელ ქვეყნებში თურქეთის გავლენის გაზრდისკენ მიმართული საგარეო პოლიტიკის (რომელსაც ისლამური ელფერი დაჰკრავდა) გამო, ოზალის ეპოქაში, ლიტერატურაში ჩნდება ტერმინი ნეო-ოსმანიზმი.<sup>3</sup>

თურგუთ ოზალის სიკვდილის შემდეგ, თურქეთი ძირითადად არასტაბილური კოალიციური მთავრობების მიერ იმართებოდა, სადაც არჩეული ხელისუფლების გარდა, მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ქემალისტურ-კონსერვატიულ თურქეთის შეიარაღებულ ძალებს, რომელთა პოლიტიკური პრიორიტეტები სამოქალაქო ლიდერთა ხედვებს არ ემთხვეოდა. ოზალის შემდგომი თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე ყველაზე დიდი გავლენის მქონე ფიგურებად ისლამისტური კეთილდღეობის პარტიის (Refah Partisi – RP) ლიდერი ნეჯმედინ ერბაქანი და 1997-2002 წლებში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, დემოკრატიული მემარცხენე პარტიის (Demokratik Sol Parti – DSP) წევრი ისმაილ ჯემი შეგვიძლია მივიჩნიოთ. შიდა პოლიტიკაში არსებული ცვლილებების მიუხედავად, 1990-იან წლებში თურქეთის ოფიციალური პოლიტიკური კურსი ევროინტეგრაცია გახლდათ, რომელიც, 2002 წელს, ხელისუფლებაში სამართლიანობისა და აღმავლობის პარტიის (Adalet ve Kalkınma Partisi – AKP/AK Parti) მოსვლის შემდეგაც ერთ ხანს გაგრძელდა.

2002 წლის შემდეგ თურქეთის საგარეო პოლიტიკა, როგორც სამეზობლოში, ისე მის გარეთ ტრადიციული საზღვრებიდან გავიდა და ბევრად აქტიური გახდა, იმდენად, რომ ტერმინი ნეო-ოსმანიზმი ძირითადად სწორედ ამ ეპოქასთან, უფრო კონკრეტულად კი აჰმეთ დავუთოღლუს საგარეო

<sup>1</sup> Ziya Öniş - Turgut Özal and His Economic Legacy: Turkish Neo-Liberalism in Critical Perspective, Middle Eastern Studies, Vol. 40, No. 4 (Jul., 2004), გვ.119.

<sup>2</sup> Tuba Ünlü Bilgiç, Cihat Göktepe (Eds.) – Türkiye'nin Demokrasi Tarihi: 1946-2012, Ufuk Kitapları, İstanbul, 2014, გვ.291, ISBN 9786059927215.

<sup>3</sup> M. Hakan Yavuz - Social and Intellectual Origins of Neo-Ottomanism: Searching for a Post-National Vision, Die Welt Des Islams, Vol. 56, Brill, 2016, გვ. 455-456.

საქმეთა მინისტრობის პერიოდთან გახდა ასოცირებული.<sup>4</sup> 2002-2011 წლებში თურქეთის საგარეო პოლიტიკა, სამეზობლოში და ოსმალეთის ტრადიციული გავლენის არეაში ეკონომიკური და კულტურული ზრდის პარალელურად, ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავებასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ევროკავშირის მოთხოვნით გატარდა არაერთი რეფორმა.

თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ფუნდამენტური ცვლილება 2011 წლიდან, ახლო აღმოსავლეთში, არაბული გაზაფხულის სახელით ცნობილი პოლიტიკური მღელვარების ტალღის დაწყებასთან ერთად იწყება. აჰმეთ დავუთოღლუმ, თავის ცნობილ წიგნში „სტრატეგიულ სიღრმეში“ ნამოყენებული იდეების შესაბამისად სცადა მოქმედება, რასაც თურქეთის ხელისუფლებამ მწვანე შუქი აუნთო და თურქეთის ხელისუფლება აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა არაბული ქვეყნების ახალ ლიდერებთან და იმ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებსაც, თურქეთი პოტენციურ მოკავშირედ მოიაზრებდა.<sup>5</sup> განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კავშირები ეგვიპტელ ძმებ მუსლიმებთან და მუჰამედ მურსისთან, რომელიც 2012 წელს ამ პარტიის მხარდაჭერით ეგვიპტის პრეზიდენტად აირჩიეს. ხოლო სირიაში, რომლის პრეზიდენტ ბაშარ ასადთან ერდოღანს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა,<sup>6</sup> თურქეთმა აქტიურად დაიწყო ოპოზიციის მხარდაჭერა, რომელიც საბოლოოდ შეიარაღებული, ხშირად ისლამისტური დაჯგუფებების მხარდაჭერაში გადაიზარდა და მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცენტრალურ ნარმართველად იქცა.

თურქეთის ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში დავუთოღლუს დოქტრინის და ოზალისეული ექსპანსიონიზმის კრახის დასაწყისის საკვანძო წერტილად 2013 წლის 3 ივლისის სამხედრო გადატრიალება შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელმაც ეგვიპტის პრეზიდენტი და თურქეთის ხელისუფლების ახლო მოკავშირე მუჰამედ მურსი დაამხო.<sup>7</sup>

მეორე მოვლენა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა თურქეთის ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაზე, გახლდათ სირიის ჩრდილოეთში ქურთული დაჯგუფებების მიერ კონტროლირებადი ოლქების შექმნა. აპოისტური<sup>8</sup> იდეოლოგიის მიმდევარი ძალების წარმატება განპირობებული იყო სამოქალაქო ომის დროს სირიის სახელისუფლებო ძალებისა და პოლიციის უკან დახევით.

ჯერ ირანის, ხოლო შემდეგ რუსეთის ღია ინტერვენციამ სირიის სამოქალაქო ომში, ხოლო მეორე მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მზარდ ისლამისტურ საფრთხესთან საბრძოლველად ქურთული ფორმირებების შეიარაღებამ თურქეთი აიძულა ორ სუპერძალას შორის ბალანსის პოლიტიკაზე გადასულიყო, ხოლო 2016 წლის 15 ივლისის, დღემდე იდუმალებით მოცული გადატრი-

<sup>4</sup> მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი ნეო-ოტომანიზმი/ოსმანიზმი 1980-იან წლებში შეიქმნა და თურგუთ ოზალის პერიოდის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულების აღსანიშნავად გამოიყენებოდა, საპ-ის მმართველობის პერიოდში ის თითქმის მთლიანად აჰმედ დავუთოღლუს და რეჯეფ თაიფ ერდოღანის საგარეო პოლიტიკასთან გახდა ასოცირებული, რასაც ხელი შეუწყო ამ პერიოდის სახელმწიფო პროპაგანდამ, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა თურქეთის ოსმალურ წარსულზე და ფართო პოპულარიზაციას უწევდა ტერმინ „ოსმალთა შთამომავალს“ (Osmanlı Torunu). ტერმინ ნეო-ოსმანიზმს აკადემიურ წრეებში საკმაოდ ბევრი კრიტიკოსი ჰყავს, მაგალითად ბეჰლულ ოზქანი თვლის, რომ დავუთოღლუს პოლიტიკა სხვა არაფერია თუ არა ლებენსრაუმის დოქტრინის და პანისლამიზმის გავლენით შექმნილი სინთეზი. იხ: [Behlül Özkan – Turkey, Davutoğlu and the Idea of Pan-Islamism, Survival | vol. 56 no. 4 | August–September 2014 | pp. 119–140](#)

<sup>5</sup> დავუთოღლუ, თავისი ცნობილი წიგნის „სტრატეგიული სიღრმე“ ქვეთავში „ბალკანეთი, ახლო აღმოსავლეთი და კავკასია“ აღნიშნავს, რომ ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ შექმნილი ვაკუუმი თურქეთმა უნდა შეავსოს და ამას ამართლებს იმით, რომ ბალკანეთის თუ ახლო აღმოსავლეთის მუსლიმი/თურქი უმცირესობები თავიანთ ბუნებრივ მმართველად თურქეთს ხედავენ, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი სხენებულ რეგიონში თურქეთი გავლენას არ გაზრდის, დავუთოღლუ აპოკალიპტურ სცენარს ხატავს, რომლის მიხედვითაც თურქეთი, რუსეთის და საბერძნეთის სასარგებლოდ დაკარგავს გავლენას ბალკანეთში და უფრო მეტიც, სრუტეებზეც კი.

<sup>6</sup> 2008 წელს, სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი ოჯახთან ერთად, იმ დროინდელი პრემიერ-მინისტრის რეჯეფ თაიფ ერდოღანის ოჯახთან ერთად ბოდრუმშიც კი ისვენებდა. იხ: <https://www.milliyet.com.tr/siyaset/erdogandan-esada-sicak-karsilama-974998>, <https://www.milliyet.com.tr/siyaset/esad-aillesinin-bodrum-tatili-kisa-surdu-975814>

<sup>7</sup> ერდოღანის და მურსის ურთიერთობა საკმაოდ ახლო იყო და მასში იდეოლოგიურ სიახლოვეს დიდი ადგილი ეჭირა, ძმები მუსლიმების სიმბოლოს - რაბიას ერდოღანის მიერ შეთვისება და ხშირი გამოყენება, მურსის სიკვდილის შემდეგ უშუალოდ ერდოღანის ორგანიზებით სტამბოლში მის სახსოვრად რელიგიური ცერემონიის ჩატარება და ერდოღანის შეურთებელი პოზიცია მურსის შემცვლელის - სისის მიმართ ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ.

<sup>8</sup> აბდულა ოჯალანის პოლიტიკური იდეოლოგიის მიმდევარი.

ალების მცდელობის შემდეგ, გამოიკვეთა თურქეთის რუსეთთან დაახლოების ტენდენცია, ტრადიციულ მოკავშირესთან – აშშ-სთან ურთიერთობების გაუარესების ფონზე. ფაზა, რომელიც დიდი ალბათობით 2020 წლამდე, ქალაქ იდლიბში რუსების და სირიის სამთავრობო ჯარების ერთობლივი სამხედრო ოპერაციის შედეგად, თურქების და პრო-თურქული ფორმირებების პოზიციების მნიშვნელოვან დასუსტებამდე გაგრძელდა.<sup>9</sup>

## ამერიკის შეერთებული შტატები და თურქეთი – მყიფე ალიანსი

თურქეთის და ამერიკის შეერთებული შტატების ალიანსი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში იწყება, როდესაც საბჭოთა კავშირის ინტერვენციის საფრთხით შენუხებული თურქეთი<sup>10</sup> იძულებული გახდა დახმარებისათვის ცივი ომის ორპოლუსიანი სამყაროს დასავლური მდგენელისათვის მიემართა. თურქეთი, საბჭოთა საფრთხიდან თავის დასაცავად ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსის – ნატოს წევრიც გახდა და ცივი ომის დასასრულამდე ალიანსის სამხრეთ ბასტიონად მოიწოდებოდა; მიუხედავად ამისა, თურქეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი აშშ-ს მიმართ ყოველთვის უარყოფითად იყო განწყობილი და შესაბამისად, ცივი ომის პერიოდის თურქეთი, ეს გახლდათ ქვეყანა მკვეთრად ანტიამერიკული მოსახლეობით და ამერიკის და ნატოს მხარდამჭერი პოლიტიკური და სამხედრო ელიტით.<sup>11</sup>

ცივი ომის დასრულების და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთი დარჩა ნატოს წევრად და გააგრძელა აშშ-სთან აქტიური მოკავშირეობა. თურქეთის საგარეო პოლიტიკის, განსაკუთრებით 1990-იან წლებში კვლავ ამერიკულ და ჩრდილო ატლანტიკურ ვექტორზე დარჩენას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვნებად ეკონომიკური კავშირები და თურქეთის შიგნით მიმდინარე კონფლიქტი შეგვიძლია მივიჩნიოთ, სადაც, თურქეთის სახელმწიფოს მთავარი მონინალმდეგე – ქურთისტანის მუშათა პარტია, სოციალისტურ/პრო-საბჭოთა მხარედ გვევლინებოდა, რომელიც, უშუალოდ სირიიდან – რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვანი საბჭოთა სატელიტის ტერიტორიიდან იმართებოდა.<sup>12</sup> მნიშვნელოვანი იყო თურქეთი აშშ-სთვისაც, რომელმაც, ირანში მომხდარი რევოლუციისა და ერაყთან ურთიერთობების დაძაბვის ფონზე, რეგიონში დაკარგა სტრატეგიული მოკავშირეების უმეტესობა და ამგვარად, მიუხედავად საბჭოთა კავშირის დაშლისა, თურქეთმა თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შეინარჩუნა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც კიდევ ერთხელ გამოიხატა 1991 წელს, სპარსეთის ყურის პირველი ომისას ამერიკას და ერაყს შორის წარმართული კონფლიქტით.

ერაყთან ომში თურქეთის ამერიკის მხარეს მონაწილეობას თურგუთ ოზალის ხელისუფლება ღიად უჭერდა მხარს და თვლიდა, რომ ეს ახლო აღმოსავლეთში თურქეთის გავლენის ზრდას შეუწყობდა ხელს, ხოლო სამხედრო ელიტა თვლიდა, რომ თურქეთი არ უნდა ჩარეულიყო ახლო აღმოსავლეთის შიდა საქმეებში. საბოლოო ჯამში, ხელისუფლებას და შეიარაღებულ ძალებს შორის კრიზისი გენერალური შტაბის უფროსის გადადგომით დასრულდა. თურქეთს ერაყის წინააღმდეგ ომში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მის ტერიტორიაზე განთავსებული სამხედრო ბა-

<sup>9</sup> სტატიის წერის მომენტში, ვრცელდებოდა ამბები, რომ თურქეთმა, ამერიკისაგან პატრიოტის ტიპის სარაკეტო თავდაცვის სისტემები მოითხოვა, რაც მნიშვნელოვანი განვითარებაა იმის ფონზე, რომ რამდენიმე თვით ადრე თურქეთმა რუსეთისგან ს-400-ის ტიპის სისტემები შეიძინა, მიუხედავად აშშ-ს წინააღმდეგობისა.

<sup>10</sup> საბჭოთა კავშირს ჰქონდა ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ, რომელიც მოიცავდა, როგორც ყარსის, არტანის და ართვინის ისე, რიზეს და ტრაპიზონის პროვინციებს და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ კუთხით საბჭოთა პრესაში აქტიური პროპაგანდა მიდიოდა, მაგალითისთვის გავიხსენოთ გრიგოლ აბაშიძის ლექსი „ოცნება ტრაპიზონის ოლქოში“ და სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის წერილი „ჩვენი კანონიერი პრეტენზიები თურქეთის მიმართ“.

<sup>11</sup> Aylin Güneç – Anti-Americanism in Turkey: Past and Present, Middle Eastern Studies, 44(3), pp. 471–487

<sup>12</sup> Aliza Marcus – Blood and Belief: The PKK and The PKK and The Kurdish Fight for Independence, New York University Press, 2007, გვ. 112-113, ISBN-13: 978-0-8147-5711-6

ზეზი აქტიურად იქნა გამოყენებული ამერიკის შეიარაღებული ძალების მიერ.<sup>13</sup> მიუხედავად თურქეთის პოზიციისა, კონფლიქტის შედეგად ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხით ყველაზე მეტად თურქეთი დაზარალდა. ამერიკის მოთხოვნით ერაცის წინააღმდეგ გამოყენებული ემბარგოს მხარდაჭერამ და ერაცადან, განსაკუთრებით მისი ქურთული ნაწილიდან დევნილების ტალღამ თურქეთს სერიოზული ეკონომიკური და პოლიტიკური ზარალი მიაყენა და მიუხედავად ამერიკის მიერ გარკვეული სამხედრო დახმარებებისა, თურქეთმა ამერიკისგან სასურველი ეკონომიკური კომპენსაციის მიღება ვერ მოახერხა.<sup>14</sup> ამერიკის და თურქეთის ურთიერთობებში ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა მხარეთა შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა ადამიანის უფლებების, დემოკრატიზაციის და ამერიკის ოფიციალური იდეოლოგიის ფარგლებში იმპორტირებული სხვა ღირებულებების შესახებ. თუმცა, თურქეთის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს აზრთა სხვადასხვაობა, მიუხედავად მისი მნიშვნელობის ზრდისა, დღემდე არ თამაშობს ცენტრალურ როლს ამერიკისა და თურქეთის ურთიერთობებში.

თურქეთის და ამერიკის სამხედრო თანამშრომლობა 1990-იანი წლებიდან 2010-იანი წლების შუა ხანებამდე ძალიან ფართომასშტაბიანი იყო. კერძოდ, თურქეთი ჩაერთო ფ-16-ის პროგრამაში, რაც თურქული საჰაერო ძალების მოდერნიზაციის წინაპირობა გახდა. ახლო აღმოსავლური სახელმწიფო ასევე იქცა ამერიკული წარმოების იარაღისა და საბრძოლო მასალის უმსხვილეს მომხმარებლად. ამერიკა ასევე აქტიურ მხარდაჭერას უცხადებდა თურქეთს ქურთისტანის მუშათა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში და სწორედ ამერიკამ შეასრულა საკვანძო როლი 1999 წელს კენიაში ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერის აბდულა ოჯალანის დაკავების ოპერაციაში.<sup>15</sup> მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტორიც, რომ თურქეთი ერთადერთი ქვეყანა იყო მუსლიმი მოსახლეობით, რომელიც ისრაელის მოკავშირედ მიიჩნეოდა.

მიუხედავად ახლო სამხედრო თანამშრომლობისა, ამერიკის სტრატეგიული ინტერესები ყოველთვის არ ემთხვეოდა თურქეთისას, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ქურთულ საკითხთან მიმართებაში ჯერ ერაცში, შემდგომ კი სირიაში. ერაცის პირველი ომის შედეგად ჩრდილოეთ ერაცში ბაღდადის ხელისუფლების კონტროლის გაქრობამ იქ ჯერ დე ფაქტო, შემდეგ კი დე იურე ქურთული ავტონომიური პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნა გამოიწვია. ასევე, ქურთისტანის მუშათა პარტიამ ისარგებლა შექმნილი არეულობით და შტაბბინა კანდილის მთებში გადაიტანა. მიუხედავად თურქეთის უკმაყოფილებისა, ამერიკა აგრძელებს ქურთების მიერ დომინირებული სირიის დემოკრატიული ძალების მხარდაჭერას (მართალია არათანმიმდევრულად, მაგრამ მხარდაჭერის ფორმები მაინც შენარჩუნებულია).<sup>16</sup> ამერიკისაგან სასურველის ვერ მიღებამ თურქეთის ხელისუფლება მიიყვანა რადიკალურ ზომებამდე, რაც საბოლოოდ რუსეთისგან ს-400 ტიპის ანტისაჰაერო თავდაცვის სისტემების შესყიდვამდე მივიდა, საპასუხოდ, აშშ-მ თურქეთი ფ-16-ის პროგრამიდან ამოაგდო, რითიც დიდი ზარალი მიაყენა თურქეთის ავიაციას. 2020 წლის დასაწყისში რუსეთთან თანამშრომლობის მიუხედავად, სასურველი შედეგის კვლავ ვერმიღწევის შემდეგ თურქეთის მიერ

<sup>13</sup> Baskın Oran(Ed.) - Türk Dış Politikası, Cilt II, İletişim Yayınları,İstanbul,2010,გვ. 256, ISBN-13 978-975-05-0000-2

<sup>14</sup> იქვე, გვ. 258

<sup>15</sup> მიუხედავად იმისა, რომ თურქულ მედიაში ოჯალანის დაკავებაში ამერიკელების როლზე ნაკლებად საუბრობენ, არა-თურქულ წყაროებში ეს ფაქტი ღიად მოიხსენიება. მაგალითისთვის იხ: <https://www.nytimes.com/1999/02/20/world/us-helped-turkey-find-and-capture-kurd-rebel.html> ასევე საგულისხმოა, რომ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვოს ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციაც ფაქტობრივად ამ როლს ადასტურებს. იხ: <https://www.cia.gov/library/center-for-the-study-of-intelligence/csi-publications/csi-studies/studies/vol53no1/fiasco-in-nairobi.html>

<sup>16</sup> ამერიკის მიერ ქურთული ტერიტორიული ერთეულების მხარდაჭერა კარგა ხანია თურქეთის უკმაყოფილების წყაროა, მიუხედავად იმისა, რომ თავად თურქეთი აქტიურად თანამშრომლობს ერაცის ქურთისტანის დომინანტურ ძალასთან ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიას და მის ლიდერებთან - ბარზანის გვართან. სწორედ თურქეთის ამ პოლიტიკაზე გათვლით მოახდინა ამერიკამ სირიელი ქურთების დემოკრატიული ერთობის პარტიის სირიის დემოკრატიულ ძალებად ცნობილ ალიანსში ჩართვა და სავარაუდოდ სწორედ ეს იდგა ამერიკის გადაწყვეტილების უკან მიეცა გარკვეული თავისუფლება თურქეთისთვის განეხორციელებინა ინტერვენცია ჩრდილო სირიის ზოგიერთ რეგიონში. მიუხედავად ამისა, როგორც თურქეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული კვლევითი ცენტრის სეტას საიტზე ვხედავთ, თურქეთის ხელისუფლება კვლავ არ არის კმაყოფილი. იხ: <https://www.setav.org/en/tag/u-s-pkkpydypgsdf-relations/>

პატრიოტის ტიპის სარაკეტო სისტემების მოთხოვნა და აშშ-ს განცხადებები, რომ ისინი მხარს უჭერენ ნატოს წევრ თურქეთს, გვაფიქრებინებს – თურქეთი კვლავ შეეცდება აშშ-სთან ურთიერთობების დალაგებას. თუმცა, ამ მცდელობების შედეგების გათვლა რთულია.

**1990-იან წლებში, აშშ-სა და თურქეთის სტრატეგიული დაახლოებისა და ახლო თანამშრომლობის კიდევ ერთი სივრცე ბალკანეთი იყო. აქ ორივე მხარემ მიაღწია კონსენსუსს და თურქეთი, მართალია განსხვავებული მოტივაციით, მაგრამ მხარს უჭერდა ბოსნიელებსა და ალბანელებს, მათ შორის ამ უკანასკნელთა მცდელობას გამოეცხადებინათ კოსოვოს დამოუკიდებლობა და მოგვიანებით, 2008 წელს თურქეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა.<sup>17</sup>**

2002 წელს თურქეთის ხელისუფლებაში სამართლიანობის და აღმავლობის პარტია (საპ) მოვიდა, რომლის ფესვებიც ისლამისტური „ეროვნული ხედვის“ იდეოლოგიას ეყრდნობოდა. მიუხედავად ამისა, მისი ლიდერი რეჯეფ თაიფ ერდოღანი, რომელიც 2003 წელს პრემიერ-მინისტრი, 2014 წელს კი პრეზიდენტი გახდა; აცხადებდა რომ მისმა პარტიამ „ეროვნული ხედვის პერანგი გაიხადა“ და სრულიად ახალი პარტია იყო.<sup>18</sup> მართლაც, საპ-მ დაიწყო პრაგმატული პოლიტიკის გატარება, რაც პირველ რიგში ევროკავშირთან ინტეგრაციის პოლიტიკის გაგრძელებასა და აშშ-სთან ურთიერთობების გაღრმავებას მოიცავდა. თურქეთის ახალი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც, ოფიციალურად გლობალისტური, ლიბერალური, უმცირესობებისა და ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვისკენ მიმართული იყო, აშშ-ში საკმაოდ მხარდაჭერით სარგებლობდა. ამ პერიოდში, თურქეთის ახალი ხელისუფლების იმიჯის რეაბილიტაციაში დიდი როლი შეასრულა აშშ-ში მცხოვრები რელიგიური ლიდერის ფეთჰულა გულენის ფაქტორმა, რომლის მიმდევრებიც აქტიურად ლობირებდნენ ერდოღანს.<sup>19</sup>

მიუხედავად 2000-იან წლებში და 2010-იანი წლების დასაწყისში ორ ქვეყანას შორის არსებული კარგი ურთიერთობისა, იყო რამდენიმე კრიზისული მომენტიც, მათ შორის 2003 წელს ერაყის ქურთისტანის ქალაქ სულეიმანიაში მომხდარი შემთხვევა, როდესაც ამერიკელმა სამხედროებმა დემონსტრაციულად დააკავეს თურქი სპეცრაზმელები, რომლებიც კირკუკში დივერსიული მისიით იმყოფებოდნენ.<sup>20</sup> ეს მაშინ, როდესაც ოფიციალურად თურქეთი ერაყის ომში არ მონაწილეობდა – მეჯლისმა თურქეთის ერაყის ომში მონაწილეობასთან დაკავშირებული კანონპროექტი ჩააგდო.<sup>21</sup> ასევე თურქეთი მნიშვნელოვან პრობლემად თვლიდა იმას, რომ სადამ ჰუსეინის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ერაყის ქურთისტანი იურიდიულადაც ავტონომიური გახდა.

მიუხედავად მჭიდრო ურთიერთობებისა, 2010-იან წლებში აშშ-თურქეთის ურთიერთობები გაციებისკენ წავიდა, რაც რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. პირველი ფაქტორი გახლდათ თურქეთის დამოკიდებულება ირანთან მიმართებით, რომელსაც აშშ-მ მძიმე ეკონომიკური სანქციები დაუწესა. გამოირკვა, რომ თურქეთის ხელისუფლება, ირანული წარმოშობის ბიზნესმენის რეზა ზარაბის საშუალებით, თურქეთის სახელმწიფო ბანკებიდან სახალხო ბანკის (Halk Bankasi) გამოყენებით არღვევდა ირანის წინააღმდეგ მიმართულ სანქციებს, ვაჭრობდა ირანთან და ეხმარებოდა ირანის ხელისუფლებას ბუნებრივი რესურსების გაყიდვით მიღებული შემოსავლის ირანში გადატანაში. ამ საქმის ფარგლებში, სახალხო ბანკის დირექტორის მოადგილე მეჰმედ ჰაქან ატილამ ამერიკაში სასჯელიც მოიხადა, ხოლო საქმე გრძელდება.<sup>22</sup> მეორე ფაქტორი კი 2016 წლის 15 ივლისის

<sup>17</sup> [http://www.mfa.gov.tr/relations-between-turkey-and-kosovo\\_.en.mfa](http://www.mfa.gov.tr/relations-between-turkey-and-kosovo_.en.mfa)

<sup>18</sup> <https://www.milliyet.com.tr/siyaset/milli-gorusle-gurusle-gurur-duyuyor-5178071>

<sup>19</sup> Baskın Oran (Ed.) – Türk Dış Politikası, Cilt III, İletişim Yayınları, İstanbul, 2013, გვ. 255, ISBN-13 978-975-05-0000-8

<sup>20</sup> გარკვეული ინფორმაციით, კირკუკის გუბერნატორის მკვლელობის მიზნით, რასაც უნდა გამოეწვია არეულობა და მოემზადებინა ნიადაგი თურქეთის სამხედრო ინტერვენციისთვის. იხ: <https://t24.com.tr/haber/cuval-olayinin-perde-arka-si-wikileaks.136878>

<sup>21</sup> <https://www.birgun.net/haber/1-mart-tezkeresi-ni-yeniden-dusunmek-250207?>

<sup>22</sup> იხ: <https://www.bbc.com/turkce/haberler-dunya-50300889>

გადატრიალების მცდელობა გახლავთ, რომელიც დღემდე არ არის ბოლომდე გამოძიებული, თუმცა თურქეთის ხელისუფლებამ მასში ერდოლანის ყოფილი მოკავშირე და მოგვიანებით მეტოქე, ამერიკაში მცხოვრები რელიგიური ლიდერი ფეთჰულა გულენი და მისი მიმდევრები დაადანაშაულა და მოითხოვა ამერიკიდან ფეთჰულა გულენის ექსტრადიცია, რომელიც დღემდე არ განხორციელებულა.<sup>23</sup> სწორედ გიულენის ექსტრადიციის მცდელობის შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ „მღვდელ ბრანსონის საქმე“, რომელიც აშშ-სა და თურქეთს შორის მნიშვნელოვანი დაძაბულობის მიზეზი გახდა. 2016 წლის ოქტომბერში, იზმირში მოღვაწე ამერიკელი პროტესტანტი მღვდელი ენდრიუ ბრანსონი დააკავეს და ბრალად დასდეს გადატრიალების მხარდაჭერა, ჯაშუშობა და კავშირი გულენისტებსა თუ ქურთისტანის მუშათა პარტიასთან. თუმცა, იგივე პრეზიდენტ ერდოლანის ცნობილი განცხადება ამერიკის მისამართით „მოგვეცი მღვდელი, წაიყვანეთ მღვდელი“, ფართოდ იქნა აღქმული, როგორც მინიშნება იმაზე, რომ ბრანსონის პატიმრობაში ყოფნის მიზეზი იყო თურქეთის ხელისუფლების სურვილი, გაეცვალა იგი ფეთჰულა გულენზე.<sup>24</sup> საბოლოოდ, მიუხედავად აშშ-ს ხელისუფლების მოთხოვნისა, გათავისუფლებულიყო ბრანსონი, თურქეთმა იგი პატიმრობაში დატოვა, რასაც მოჰყვა ამერიკის მიერ თურქეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესება, რამაც სერიოზული ინფლაციური და ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია, შედეგად, თურქეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ბრანსონი გაეთავისუფლებინა.<sup>25</sup> სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა სტამბოლში, საუდის არაბეთის საკონსულოში მომხდარი მკვლელობის შემდეგ, როდესაც ჯამალ ხაშოგჯი<sup>26</sup> თურქული წარმოშობის არაბი ჟურნალისტი და სავარაუდოდ საუდის არაბეთის დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი<sup>27</sup> საუდის არაბეთის დაზვერვის თანამშრომლებმა მოკლეს, ხოლო მისი გვამი უკვალოდ გააქრეს. აშშ-ს ხელისუფლებამ სკანდალში საუდის არაბეთს დაუჭირა მხარი, რამაც თურქეთის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად თურქეთი რჩება ნატოს წევრად და ინარჩუნებს დე იურე ალიანსს აშშ-სთან, ორი ქვეყნის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბულია, პირველ რიგში ირანის სანქციებისა და ქურთულ საკითხთან დაკავშირებული განსხვავებული შეხედულებების გამო. თუმცა, გეოპოლიტიკური რეალობა, რუსეთის ფაქტორი და თურქეთის იმედი, რომ კიდევ არსებობს შანსი აშშ-სგან დახმარების მიღებისა იგივე სირიასთან მიმართებაში, საკმაოდ მყიფე ალიანსს სრულიად დამსხვრევისგან იცავს.

## რუსეთი – პრაგმატული თანამშრომლობა და ამერიკის წინააღმდეგ ბალანსის შექმნის მცდელობა

ცივი ომის პერიოდში თურქეთის პოლიტიკური ელიტა მთელ დასავლეთ ბლოკში ერთ-ერთი ყველაზე ანტიკომუნისტურად განწყობილი მმართველი კლასი გახლდათ, იმდენად, რომ რესპუბლიკაში კომუნისტური პარტიის შექმნა კონსტიტუციურადაც კი იყო აკრძალული.<sup>28</sup> მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ყოველთვის არსებობდა ეკონომიკური და პოლიტი-

<sup>23</sup> თურქეთმა ფეთჰულა გულენის ექსტრადიცია რამდენჯერმე მოითხოვა, თუმცა ყოველ ჯერზე უშედეგოდ, ოფიციალური ვაშინგტონის განცხადებით, ექსტრადიციისთვის [საკმარისი სამხილები](https://www.hurriyet.com.tr/dunya/kim-bu-amerikanin-israrla-istedigi-papaz-40594210) არ არსებობდა.

<sup>24</sup> იხ: <https://www.hurriyet.com.tr/dunya/kim-bu-amerikanin-israrla-istedigi-papaz-40594210>

<sup>25</sup> იხ: <https://www.theguardian.com/world/2018/oct/12/andrew-brunson-release-turkish-court>

<sup>26</sup> თურქულენოვან გამოცემებში ჯემალ ქაშიქჩი, რაც ტექნიკურად სწორი ფორმაა - ის წარმოშობით თურქი იყო, რომლის ოჯახიც ქალაქ ქაისერიდან გადასახლდა საუდის არაბეთში. იხ: <https://www.dw.com/tr/cemal-ka%C5%9F%C4%B1k%C3%A7%C4%B1-kim/a-45964291>, <https://www.haberturk.com/yazarlar/murat-bardakci/2179369-kasikci-daha-dogrusu-hasukci-ailesi>

<sup>27</sup> Business Insider-ის ინფორმაციის მიხედვით ის დაახლოებული იყო საუდის არაბეთის დაზვერვის ყოფილ უფროს პრინც ბანდართან და სავარაუდოდ დაზვერვასთან თანამშრომლობდა.

<sup>28</sup> მაგალითად პოლიტიკური პარტიების შესახებ არსებული, 2820-ე კანონის 96-ე მუხლი ღიად კრძალავს კომუნისტური პარტიების შექმნას.



კური თანამშრომლობა, რომელიც ზოგჯერ თურქეთში საბჭოთა ინვესტიციების განხორციელებამდეც კი მიდიოდა.<sup>29</sup>

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, ზოგჯერ პირდაპირ, უფრო მეტად კი ირიბად, ძირითადად თურგუთ ოზალის პერიოდის, ნეო-ოსმანიზმად მონათლული პოლიტიკის მიხედვით განისაზღვრებოდა, რაც, პირველ რიგში ბალკანეთში, ახლო აღმოსავლეთში, შუა აზიაში და კავკასიაში თურქეთის გავლენის გაზრდას მოიცავდა. ეს ტერიტორიები კი ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებს, ასევე სირიის ტიპის ყოფილ საბჭოთა სატელიტებს მოიცავდა. რუსეთის ხელისუფლება არ იყო კმაყოფილი თურქეთის მცდელობებით, გაეფართოებინა გავლენა გეოგრაფიულ არეალზე, რომელსაც რუსეთი თავისი გავლენის სფეროდ მიიჩნევდა. თურქეთის პოლიტიკის მაგალითებად შეგვიძლია მივიჩნიოთ: ოფიციალური ანკარის მცდელობა დაეყოლიებინა შუა აზიის თიურქული ქვეყნები გადასულიყვნენ საერთო თიურქულ ანბანზე, რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სერბების წინააღმდეგ თურქეთის მიერ ბოსნიელებისა და ალბანელების მხარდაჭერა და თურქეთის ხელისუფლების მიერ ჩეჩნეთის ომში ჩეჩნების ღია მხარდაჭერა, რასაც რუსეთი ქურთისტანის მუშათა პარტიისადმი სოლიდარობის გამოხატვით პასუხობდა; 1995 წელს მოსკოვში ქურთული პარლამენტის სხდომის გამართვა ამის მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ.<sup>30</sup> ასევე დაძაბულობის კერად იქცა კვიპროსის რესპუბლიკის მიერ რუსული ანტისაჰაერო თავდაცვის სისტემის ს-300-ის შეძენაც, რომელიც, საბოლოო ჯამში აშშ-ს ჩარევით მოგვარდა და სისტემები სამხრეთ კვიპროსის ნაცვლად კრეტაზე განთავსდა.<sup>31</sup>

მიუხედავად პოლიტიკური განსხვავებებისა, თურქეთსა და რუსეთს შორის თანამშრომლობა ცივის ომის შემდეგ მკვეთრად გაღრმავდა, რისი უმნიშვნელოვანესი მიზეზიც თურქეთის ენერგეტიკული რესურსებით, განსაკუთრებით კი ბუნებრივი აირით სიღარიბე გახლავთ. თურქეთმა ბუნებრივი აირის შესყიდვა საბჭოთა კავშირიდან ჯერ კიდევ 1984 წელს დაიწყო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი რუსეთიდან შეძენილი ბუნებრივი აირის ოდენობა თანდათან გაიზარდა და საბოლოო ჯამში, 2003 წელს ლურჯი ნაკადის გაზსადენის ექსპლუატაციაში შესვლასთან ერთად, თურქეთი, ბუნებრივი გაზის შესყიდვებში რუსეთის მეორე უმსხვილესი კლიენტი გახდა.<sup>32</sup> ირანის წინააღმდეგ დანესებული სანქციების პირობებში კი, თურქეთს, მიუხედავად პრობლემებისა, ბევრი არჩევანი არ ჰქონდა და რუსეთთან ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობა კიდევ უფრო გააღრმავა. ლურჯი ნაკადის შემდეგ, თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად თურქული ნაკადი იქცა, თავდაპირველად რუსეთი, სამხრეთის ნაკადის სახელით ცნობილი გაზსადენით ევროპისკენ ახალი გაზმიწოდებელი დინების გახსნას ცდილობდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც ევროპის ქვეყნებმა რუსეთს ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებით სანქციები დაუწესეს, რუსეთმა თურქეთთან ალტერნატიულ მარშრუტზე დაიწყო მოლაპარაკებები.<sup>33</sup> მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს, თურქეთის მიერ სირიის საზღვართან რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ ორ ქვეყანას შორის სიტუაცია დაიძაბა და ანკარაში რუსეთის ელჩის მკვლელობის შემდეგ სიტუაცია კრიზისში გადაიზარდა, 2016 წლიდან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დარეგულირდა და საბოლოო ჯამში, 2020 წლის იანვარში, თურქული ნაკადი ექსპლუატაციაში შევიდა.<sup>34</sup> ამგვარად, რუსეთმა, თურქული ნაკადის ფაქტორით, გარკვეულწილად დააბალანსა თურქეთის მიერ დასავლეთის ქვეყნებთან პარტნიორობით გატარებული ენერგეტიკული პოლიტიკის შედეგები, რომლებმაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის

<sup>29</sup> სწორედ სსრკ-ს მატერიალური მხარდაჭერით აშენდა მაგალითად ალიაღას ნავთობგადამამუშავებელი და ისქენდერუნის და სეიდიშეჰირის მეტალურგიული ქარხნები. იხ: Soli Özel, Belkis Gökçe Uçar - Türkiye-Rusya İlişkilerinin Ekonomik Boyutu, EDAM, 2019, გვ. 5-6

<sup>30</sup> Oran(Ed.), 2013, გვ. 545-546

<sup>31</sup> იქვე, გვ. 544

<sup>32</sup> იქვე, გვ. 548

<sup>33</sup> იხ: <https://www.euractiv.com/section/global-europe/news/russia-says-south-stream-project-is-over/>

<sup>34</sup> იხ: <https://www.euronews.com/2020/01/08/turkstream-europe-needs-gas-and-russia-has-it-the-story-behind-that-new-pipeline>

და შაჰდენიზის ნავთობსადენებით დააკავშირა თურქეთი აზერბაიჯანთან და ამგვარად, თურქეთს, ალტერნატიული ბუნებრივი აირის წყარო შესთავაზა.

ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ურთიერთობები, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის და ტურიზმის კუთხით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსების როლი თურქეთის ტურისტულ ინდუსტრიაში, მაგალითად, 2017 წელს თურქეთში 4.7 მილიონი, ხოლო 2018 წელს 6 მილიონი რუსი ტურისტი ჩავიდა.<sup>35</sup>

გეოპოლიტიკური კუთხით, რუსეთი, განსაკუთრებით 2016 წლის შემდეგ, თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ამერიკელების წინააღმდეგ, ერთგვარ დამაბალანსებელ სიმძიმედ იქცა, რაც ძირითადად განპირობებული იყო ამერიკის მიერ სირიელი ქურთების მხარდაჭერით, მაშინ, როდესაც თურქეთი, რეგიონში ქურთების ნებისმიერი სახის პოლიტიკურად წინ გადადგმულ ნაბიჯს საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ არსებულ საფრთხედ მიიჩნევს.<sup>36</sup> ამერიკის მიერ მხარდაჭერილი ქურთების წინააღმდეგ მოქმედების ფარგლებში, თურქეთმა გააღრმავა რუსეთთან თანამშრომლობა, რაც, მიუხედავად აშშ-ს პროტესტისა, თურქეთის მიერ ს-400-ის ტიპის ანტისაჰაერო თავდაცვის სისტემების შეძენამდე მივიდა. ასევე, რუსეთმა თვალის დახევა თურქეთის სამხედრო ოპერაციებზე სირიის ტერიტორიაზე, რომლებიც ქურთების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გაფართოების პრევენციისკენ იყო მიმართული. ამის მიუხედავად, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საზღვრები ნათლად გამოიკვეთა 2019 წლის ბოლოს და 2020 წლის დასაწყისში, როდესაც თურქებმა სცადეს შეეკავებინათ რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სირიის ხელისუფლების სამხედრო წინსვლა იდლიბის პროვინციაში, შედეგად, რუსეთის ავიაციამ დაბომბა თურქეთის ჯარის პოზიციები.<sup>37</sup> ამგვარად, სირიაში რუსეთის და თურქეთის თანამშრომლობა დასრულებს სთვისაა განწირული თუკი თურქეთის ხელისუფლება გააგრძელებს სირიის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე უარის თქმის პოლიტიკას, რაც რუსეთის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. მნიშვნელოვანია ასევე თურქეთის მცდელობები მოახდინოს გავლენა ლიბიის საგარეო პოლიტიკაზე, სადაც რუსეთის და თურქეთის ინტერესები ასევე ეწინააღმდეგება ერთმანეთს – თურქეთი მხარს უჭერს ტრიპოლის ხელისუფლებას, ხოლო რუსეთი კეთილგანწყობილია ლიბიის ეროვნული არმიის მიმართ, რომელსაც ხალიფა ჰაფთარი აკონტროლებს.

## ევროკავშირი – ეკონომიკური პარტნიორი და ნარსულში დარჩენილი ერთობლივი მიზნები

თურქეთის ევროკავშირთან ურთიერთობები ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში არსებულ, თურქეთის ევროპის თანამეგობრობასთან არსებული ურთიერთობებით იწყება; რომლის წევრობაზეც თურქეთმა განაცხადა ჯერ კიდევ 1987 წელს შეიტანა.<sup>38</sup> ამ პერიოდში თურქეთში ევროკავშირის წევრობა ჯერ კიდევ ოსმალეთის პერიოდში დაწყებული ვესტერნიზაციის პროცესის ლოგიკურ დაგვირგვინებად მიიჩნეოდა და თურქეთის ოფიციალურად გაცხადებული საგარეო პოლიტიკური მიზანი გახლდათ.<sup>39</sup> ევროკავშირში განევრიანებისათვის საჭირო კრიტერიუმების დაკმაყოფილების

<sup>35</sup> Özel, Uçar, 2019, გვ. 17

<sup>36</sup> იხ: <https://www.americanprogress.org/issues/security/reports/2019/08/12/473508/state-turkish-kurdish-conflict/>

<sup>37</sup> საინტერესოა, რომ მიუხედავად მილიტარისტული რიტორიკისა და რუსების და სირიელების აღიარებისა, რომ დაბომბვა რუსულმა ავიაციამ განახორციელა, თურქეთის მთავრობის მხარდაჭერმა მედია საშუალებებმა დაბომბვაზე პასუხისმგებლობა სირიის ხელისუფლებას დააკისრა.

<sup>38</sup> იხ: [https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/detailed-country-information/turkey\\_en](https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/detailed-country-information/turkey_en)

<sup>39</sup> 1990-იან წლებში ოთხი დომინანტური საგარეო პოლიტიკური დისკურსიდან ორი უპირობოდ, ერთიც გარკვეული პირობებით მხარს უჭერდა თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციას, ამგვარად, ერთადერთი ძალა, რომელიც ევროინტეგრაციას ეწინააღმდეგებოდა ისლამისტური კეთილდღეობის პარტია იყო. იხ: Hasan Kösebalaban - Turkish Foreign Policy: Islam, Nationalism, and Globalization, Palgrave Macmillan, 2011, გვ. 135

მიზნით, თურქეთმა 1990-იან და 2000-იან წლებში არაერთი რეფორმა გაატარა. 1995 წელს თურქეთი ევროპის ერთიანი საბაჟო კავშირის წევრი გახდა, ხოლო 1999 წელს თურქეთი ოფიციალურად გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი. თურქეთის ევროპასთან დაახლოებაში, ეკონომიკურის გარდა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პოლიტიკური ფაქტორები, მათ შორის 1990 წელს, სამხრეთ კვიპროსის მიერ შეტანილი განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე.<sup>40</sup>

ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში თურქეთმა არაერთი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმა გაატარა, რომლებმაც უფრო დიდ მასშტაბებს 2002 წლის შემდეგ მიაღწია, როცა ხელისუფლებაში სამართლიანობის და აღმავლობის პარტია მოვიდა, რომელიც ამ პერიოდში თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციას საკუთარ პოლიტიკურ პრიორიტეტად აცხადებდა და ამგვარად, აქტიურად გააგრძელა რეფორმის პოლიტიკა, რომელიც მოიცავდა ფართო მასშტაბიან საკონსტიტუციო და ზოგად საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელთა პირველი პაკეტიც 2004 წელს შევიდა ძალაში. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა პროცესის ფორმალურ მხარესაც, მაგალითად 2011 წელს დაარსდა ევროკავშირის სამინისტრო.<sup>41</sup>

მიუხედავად თურქეთის მცდელობებისა, ევროინტეგრაციის პროცესი საკმაოდ პრობლემატური იყო, პირველ რიგში ევროპის ქვეყნებისათვის, რომლებიც, გარდა იმისა, რომ უფრო ხანგრძლივად თურქეთის სიდიდის ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის შემთხვევაში მისი როლის მნიშვნელოვან ზრდას შიდაევროპულ საქმეებში, ასევე თვლიდნენ, რომ თურქეთი, რელიგიური, კულტურული თუ სხვა ფაქტორების გამო განსხვავდებოდა ევროკავშირის ქვეყნებისგან, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას, გარდა მისი ტრადიციული ოპონენტის – საბერძნეთისა, ასევე სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ევროპის კონსერვატიული და ქრისტიან-დემოკრატიული პარტიები და ნიშანდობლივია, რომ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების საწინააღმდეგო პირველი სერიოზული განცხადება 1997 წელს, ბრიუსელში ჩატარებულ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიების სამიტზე გაჟღერდა.<sup>42</sup> ამ და მსგავსმა განცხადებებმა, თავად თურქეთშიც გააჩინა აზრი, რომ ევროკავშირი „ქრისტიანული კლუბი“ გახლდათ და თურქეთთან მიმართებაში ევროპის ქვეყნების პოზიციაზე რელიგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა.<sup>43</sup> თურქეთის ეჭვები, რომ ევროკავშირი დიდად მონადინებული არ იყო თურქეთი საკუთარ რიგებში მიეღო, განსაკუთრებით გაღრმავდა მას შემდეგ, რაც ყოფილი აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნები – ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი და სხვები ევროკავშირის წევრები გახდნენ. თურქეთის ხელისუფლებლებამ და საზოგადოებამ, ეს რელიგიურ და კულტურულ დისკრიმინაციად აღიქვა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთი უკვე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ევროპასთან დაახლოების პოლიტიკას ატარებდა და მის ფარგლებში არაერთი რეფორმა გაატარა.

ევროკავშირის მიერ გაცხადებული ოფიციალური მიზეზები იმის თაობაზე თუ რატომ არ იყო თურქეთი მზად გამხდარიყო ევროკავშირის წევრი სხვადასხვანაირი იყო. ქრისტიან-დემოკრატიული და ევროპული ტრადიციონალისტური მოძრაობები მიიჩნევდნენ, რომ თურქეთი არ მდებარეობდა ევროპაში და კულტურულ-რელიგიური კუთხით ახლო აღმოსავლეთის ნაწილი იყო.<sup>44</sup> თუმცა ოფიციალურად, მთავარი მიზეზები გახლდათ ადამიანის უფლებების დარღვევა თურქეთში, თავდაპირველად ქურთებთან ან მორწმუნე მუსლიმებთან მიმართებაში, კვიპროსის საკითხი და მოგვიანებით, განსაკუთრებით 2016 წლის 15 ივლისის მოვლენების შემდეგ, ასევე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტორიც, რომ თურქეთის ხელისუფლება, ევროკავშირის მოთხოვნებს რეფორმების გატარებას-

<sup>40</sup> Oran(Ed.), 2010, გვ. 332

<sup>41</sup> იარსება 2018 წლამდე და შემდეგ გარდაიქმნა საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ [დეპარტამენტად](#).

<sup>42</sup> Oran(Ed.), 2010, გვ. 344

<sup>43</sup> პირველი, ვინც ევროკავშირის ქრისტიანული კლუბი უწოდა, თურქეთის პრემიერი [ბულენთ ეჯევითი](#) იყო.

<sup>44</sup> ამის ნათელ მაგალითებად შეგვიძლია მივიჩნიოთ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ჟისკარ დ'ესტენის და პაპ ბენედიქტე XVI-ის განცხადებები, რომ თურქეთი არ იზიარებს ევროპულ ღირებულებებს და მისი ინტეგრაცია ევროკავშირში [„ეკონომიკური ფაქტორების გამარჯვება“](#) იქნება.

თან დაკავშირებით ხშირად საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდა და მათი საშუალებით ქმნიდა ნიადაგს ქვეყნის შიგნით საკუთარი პოლიტიკური გავლენის გასაზრდელად საჭირო მანევრების ლეგიტიმაციისათვის. მაგალითად, სწორედ ევროკავშირის ფაქტორი იქნა გამოყენებული ე.წ. ერ-გენეკონის პროცესისათვის პოლიტიკური ლეგიტიმაციის მისაცემად. ევროკავშირი აუცილებელ პირობად აყენებდა შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის ჩამოყალიბებას და სწორედ ეს მოთხოვნა, კარგად იქნა გამოყენებული იმ პერიოდში დიდი პოლიტიკური გავლენის მქონე თურქეთის შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ნეიტრალიზაციისათვის.<sup>45</sup> ევროკავშირი ასევე შემოფოთებას გამოთქვამდა თურქეთში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევის, ცენზურის, ეკონომიკური არასტაბილურობის და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემების გამო. 2013 წლის გეზის პარკის მოვლენებისა და თურქეთში მზარდი ავტორიტარული ტენდენციების ფონზე ჩანდა, რომ უკვე თავად თურქეთიც იცვლიდა საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს. საბოლოოდ, 2016 წლის 15 ივლისის შემდეგ დაწყებული რეპრესიების და თურქეთის ავტორიტარულ საპრეზიდენტო სისტემაზე გადასვლისას, **ევროკავშირმა თურქეთს ფინანსური დახმარება შეუწყვიტა**, ხოლო 2019 წლის მარტში ევროპარლამენტმა თურქეთის ევროკავშირში განევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების შეჩერებას დაუჭირა მხარი.<sup>46</sup>

მიუხედავად დაძაბული ურთიერთობებისა, ევროკავშირი და თურქეთი იძულებულნი არიან ითანამშრომლონ ფუნდამენტურ საკითხებზე. თურქეთისთვის მთავარი ფაქტორი, რომელიც მას აიძულებს ითანამშრომლოს ევროკავშირთან ეკონომიკა – ევროკავშირი თურქეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია; მაგალითად, 2018 წელს, თურქეთის მიერ ექსპორტირებული პროდუქციის ნახევარი ევროკავშირის ქვეყნებში გავიდა.<sup>47</sup> ასევე თურქეთისთვის დიდ მნიშვნელობას ატარებს ის თანხა, რომელსაც ევროკავშირის ქვეყნები 2016 წელს დადებული შეთანხმების საფუძველზე, თურქეთს უხდიან, რომ ამ უკანასკნელმა დააბრკოლოს სირიელი თუ სხვა არაევროპელი დევნილებისა და შრომითი მიგრანტების მიერ ევროკავშირის საზღვრების გადაკვეთა.

ევროკავშირის ქვეყნებისთვის კი უდიდეს მნიშვნელობას ატარებს ზემოთ ნახსენები შეთანხმების პოლიტიკური მხარე. მართალია თურქეთი ყოველთვის პოპულარული სატრანზიტო ქვეყანა იყო არალეგალური ემიგრანტებისათვის<sup>48</sup> მაგრამ სიტუაცია თანდათანობით გართულდა 2011 წლიდან, სირიაში სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, რომლის გავლენაც სწრაფად გადაედო ერაყს და შედეგად, მარტო 2015 წელს, თურქეთ-საბერძნეთის საზღვაო გზის გამოყენებით, ევროკავშირის საზღვარი მილიონამდე დევნილმა გადაკვეთა.<sup>49</sup> ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტების შედეგად გაზრდილმა დევნილთა ნაკადმა კიდევ უფრო გაამწვავა ევროპის ქვეყნებში მანამდეც არსებული ქსენოფობიური განწყობები და ამ პერიოდიდან, ანტიმიგრაციული პოლიტიკის მხარდამჭერმა, ძირითადად ულტრამემარჯვანე პარტიებმა თავიანთი საარჩევნო წარმატებებით სერიოზული საფრთხე შეუქმნეს ევროპის პოლიტიკურ სისტემას. ამგვარად, ევროკავშირის ქვეყნებმა, გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის მოთავეობით, თურქეთთან მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც თურქეთი მაქსიმალურად ჩაუკეტავს საზღვრებს პოტენციურ არალეგალურ მიგრანტებს და დათანხმდება მათ რეპატრაციას ვინც გარკვეულ პერიოდამდე თურქეთიდან არალეგალურად გადაკვეთა ევროკავშირის საზღვრები, სანაცვლოდ კი, ეტაპობრივად 6 მილიარდი ევროს ოდენობის ფულად დახმარებასთან ერთად, იგი მიიღებს ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო

<sup>45</sup> ევროკავშირის მხარდაჭერა არ იყო უპირობო, მაგრამ ერგენეკონის საქმე, როგორც სახელმწიფოში სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ზომა დადებითად ფასდებოდა.

<sup>46</sup> Eduard Soler i Lecha – EU-Turkey Relations: Mapping Landmines and Exploring Alternative Pathways, FEPS, 2019, გვ. 6

<sup>47</sup> იხ: <https://www.ticaret.gov.tr/dis-iliskiler/avrupa-birligi/yani-basimizdaki-dev-pazar-avrupa-birligi>

<sup>48</sup> იხ: <https://www.nytimes.com/2012/07/15/world/europe/illegal-immigrants-slip-into-europe-by-way-of-greek-border.html>

<sup>49</sup> იხ: <https://www.pewresearch.org/fact-tank/2016/03/18/illegal-migration-to-eu-rises-for-routes-both-well-worn-and-less-traveled/>

მიმოსვლის უფლებას და ასევე, თურქეთის ევროკავშირში განწევრიანების პროცესთან დაკავშირებულ გარკვეულ შეღავათებს.<sup>50</sup>

მართალია შეთანხმება ერთი შეხედვით წარმატებული გამოდგა, მაგრამ იგი მალევე იქცა თურქეთის ხელისუფლების ხელში შანტაჟის იარაღად და თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ევროპისაგან ფინანსური ან სხვა სახის მხარდაჭერის სანაცვლოდ, დევნილების ფაქტორს ხშირად ევროპის ქვეყნების დასაშინტაჟებლად იყენებს.<sup>51</sup>

ევროპის ქვეყნებსა და თურქეთს შორის სიტუაციის დაძაბვას ხელს უწყობს თურქეთის სადაზვერვო სამსახურების გააქტიურება ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზეც. მაგალითად, ევროპელთა კრიტიკული ყურადღების ცენტრში გერმანიაში მოქმედი, თურქეთის რელიგიურ საქმეთა სამმართველოს ფაქტობრივ დაქვემდებარებაში მყოფი, თურქულ-გერმანული რელიგიურ საქმეთა კავშირი და ბაიკერთა კლუბი „გერმანიის ოსმალები“ აღმოჩნდნენ.<sup>52</sup> რელიგიური ფაქტორით თურქეთის სპეცსამსახურების მანიპულაციის შედეგად, გერმანიამ, რომელსაც ჰყავს საკმაოდ მრავალრიცხოვანი თურქული უმცირესობა, აქტიურად დაიწყო ნაბიჯების გადადგმა ქვეყნის რელიგიურ ცხოვრებაში თურქეთის როლის აღსაკვეთად.<sup>53</sup>

ასევე დიდ მნიშვნელობას ატარებს ევროპის დამოკიდებულება ქურთული საკითხის მიმართ. მიუხედავად თურქეთის მცდელობებისა, ქურთისტანის მუშათა პარტია და მასთან დაახლოებული ორგანიზაციები, ევროპის საკმაოდ ბევრ ქვეყანაში აქტიურად მოღვაწეობენ. თავად პარტიის ლეგალური სტატუსის საკითხიც დასავლეთის ქვეყნებში არაერთგვაროვანია, რაც მას უხსნის ხელს დიდი გავლენა ჰქონდეს ევროკავშირში მცხოვრებ ქურთებზე.<sup>54</sup>

## **კავკასია, ბალკანეთი და ახლო აღმოსავლეთი – „ნათესავი საზოგადოებები“**

საბჭოთა კავშირის დაშლამ თურქეთის გეოპოლიტიკური გავლენების გაფართოების თურგუთ ოზალისეულ დოქტრინას დიდი პერსპექტივები გაუხსნა. თურქეთის სამიზნეში ისტორიული ოსმალეთის ტერიტორიები და თიურქული რესპუბლიკები აღმოჩნდნენ. თურქეთის ორგანიზებით გაიმართა თიურქულენოვან ხალხთა კონგრესები, დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა დამოუკიდებელ ქვეყნებთან და თურქულ საგარეო პოლიტიკაში ახალ პრიორიტეტად მათთან ურთიერთობა იქცა. სწორედ აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში, 1992 წელს დაარსდა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო – TİKA, ხოლო ერთი წლის შემდეგ, თურქეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის კულტურის მინისტრების საგანგებო შეთანხმებით დაარსდა თიურქული კულტურის საერთაშორისო ორგანიზაცია – TÜRKSOY.

თიურქული საერთაშორისო კავშირების დაფუძნება ძალიან ნინ გადადგმული და საკმაოდ რადიკალური ნაბიჯი იყო, იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა პერიოდში თურქეთი მაქსიმალურად ერიდებოდა თურქული მოდგმის ხალხებთან ახლო ურთიერთობის დამყარებას კომუნისტებთან ურთიერთობის დაძაბვის შიშით.

თიურქულ რესპუბლიკებთან თურქეთის ურთიერთობა ორ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ. პირ-

<sup>50</sup> იხ: <https://helprefugees.org/news/eu-turkey-deal-explained/>

<sup>51</sup> თურქეთის ხელისუფლების მიერ დევნილების ფაქტორით სარგებლის მიღების მცდელობები ჯერ კიდევ შეთანხმებამდელი პერიოდიდან **იწყება**. შეთანხმების შემდეგ კი სტანდარტული რიტორიკის კომპონენტად იქცა, რომლის მიზანიც ამა თუ იმ საკითხში ევროკავშირის მხარდაჭერის ან ნეიტრალიტეტის **უზრუნველყოფაა**.

<sup>52</sup> იხ: <https://www.dw.com/en/germany-and-the-long-arm-of-turkeys-akp/a-43846127>

<sup>53</sup> მაგალითად იმამებისათვის **გერმანიის ცოდნის** ვალდებულება, უცხოეთიდან ჩამოსულ იმამებთან დაკავშირებული **შეზღუდვები** და სხვა.

<sup>54</sup> მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ქურთისტანის მუშათა პარტიას ტერორისტულ ორგანიზაციად **აღიარებს**, ცალკეული წევრების პოზიციები **მკვეთრად განსხვავდება**.

ველი ნაწილი არის აზერბაიჯან-თურქეთის ურთიერთობა. თურქულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები საკმაოდ ინტენსიურია და ეფუძნება პოპულისტურ ლოზუნგს „ერთი ერი,ორი სახელმწიფო!“. თუმცა, „ორი სახელმწიფოს“ პრინციპის ხაზგასმა ქვეყნების ურთიერთობაში გარკვეულ დისტანციაზე მაინც მიანიშნებს. მეორე ნაწილი კი გახლავთ თურქეთის პოლიტიკა შუა აზიის ქვეყნებთან მიმართებით, რომელიც ბევრად უფრო ზომიერია, ჩინეთის, რუსეთისა და ამ ქვეყნების შიდა პოლიტიკის იზოლაციური ხასიათის გამო.

აზერბაიჯანი, პირველი თურქული სახელმწიფო იყო, რომლის დამოუკიდებლობაც თურქეთმა აღიარა. ამასთანავე, თურქეთი გახდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა აღიარა.<sup>55</sup> თურქეთი აქტიურად უჭერდა მხარს აზერბაიჯანს და უკვე 1992 წლის იანვარში, თურქეთმა და აზერბაიჯანმა თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომელიც მოიცავდა კოოპერაციას სამხედრო და სამოქალაქო საკითხებში. თურქეთი ასევე მხარს უჭერდა აზერბაიჯანს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში სომხეთის წინააღმდეგ, რამაც ავტომატურად გამოიწვია თურქეთის მიერ სომხეთთან მიმართებით ნეგატიური პოლიტიკის გატარება და შედეგად, ორ ქვეყანას შორის დღემდე დახურულია საზღვრები და არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა.<sup>56</sup> ორ ქვეყანას შორის კავშირები ყოველთვის პოზიტიური იყო, თუმცა, კავშრთა ინტენსიურობა აზერბაიჯანის ლიდერების პოზიციის მიხედვით იცვლებოდა. მაგალითად, აბულფაზ ელჩიბეი, რომელიც პანთურქისტულ იდეებს იზიარებდა, თვლიდა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობის ბოლო მათი გაერთიანება იყო და ამ კუთხით მნიშვნელოვანი კულტურული ნაბიჯებიც გადადგა.<sup>57</sup> თუმცა ელჩიბეის ენთუზიაზმს თურქეთის ხელისუფლება არ იზიარებდა – ელჩიბეის პოლიტიკა რეგიონის სხვა მნიშვნელოვან ქვეყნებთან – რუსეთთან და ირანთან დაპირისპირებას ნიშნავდა, რისი სურვილიც თურქეთს არ გააჩნდა და ამგვარად, ელჩიბეის ხელისუფლების დაცემის შემდეგ, თურქეთმა ბევრად უფრო პრაგმატულ ჰაიდარ ალიევთან გააგრძელა თანამშრომლობა და 1995 წლის მარტში, სწორედ თურქეთის ხელისუფლების დახმარებით აღიკვეთა გადატრიალების მცდელობა, რომელშიც ელჩიბეისთან დაკავშირებული პირების გარდა ჩართული იყო თურქეთის ძალოვანი სტრუქტურების ულტრანაციონალისტურად განწყობილი ზოგიერთი წარმომადგენელიც.<sup>58</sup> გადატრიალების მცდელობის შემდეგ, ალიევმა მართალია გააგრძელა თურქეთთან მეგობრული ურთიერთობები, მაგრამ უკვე საკმაოდ ფრთხილად და დაბალანსებულად. თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენერგეტიკული თანამშრომლობა, მათ შორის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და შაჰდენიზის გაზსადენი, რომლებიც აზერბაიჯანულ ენერგეტიკულ რესურსებს თურქეთს აწვდიან. მნიშვნელოვანია ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა სამხედრო მრეწველობისა და სამხედრო განათლების კუთხითაც, თუმცა აზერბაიჯანის თურქეთთან ურთიერთობები კვლავ პრაგმატულ ხასიათს ატარებს. ურთიერთობების ისტორიაში ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო აზერბაიჯანის ხელისუფლების შიშიც, რომ თურქეთი შეიძლებოდა აქტიურად ჩარეულიყო ქვეყნის შიდა საქმეში, იმდენად, რომ აზერბაიჯანმა,თურქეთის მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმი მხოლოდ 2019 წელს გააუქმა.<sup>59</sup>

შუა აზიის ქვეყნებთან, მიუხედავად დიდი ენთუზიაზმით დაწყებული ურთიერთობისა, გეოპოლიტიკური ფაქტორების გამო კავშირები ძირითადად ეკონომიკურ და კულტურულ დონეზე

<sup>55</sup> იხ: <http://www.mfa.gov.tr/turkiye-azerbaycan-siyasi-iliskileri.tr.mfa>

<sup>56</sup> თურქეთის ოფიციალური პოზიცია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზაციისათვის არის სომხეთის და აზერბაიჯანის ურთიერთობების [მონესრიგება](#).

<sup>57</sup> მაგალითად კირილიცა შეიცვალა ლათინური ანბანით, სახელმწიფო ენის გრაფაში აზერბაიჯანულის მაგივრად ჩაინერა თურქული და ა.შ. იხ: Nilüfer Mutlu – Ebülfez Elçibey’in Hayatı,Siyasi Faaliyetleri, Düşüneleri ve Fikriyatı, YL tezi, Gazi Üniversitesi, Ankara, 2013, გვ. 45

<sup>58</sup> ალიევი მოსალოდნელი გადატრიალების შესახებ უშუალოდ თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა [გააფრთხილა](#) გადატრიალებაში სხვებთან ერთად ჩარეული [იყვნენ](#) თურქეთის ელჩი აზერბაიჯანში,სამხედრო ატაშე და თურქეთის უშიშროების სამსახურის უფროსი.

<sup>59</sup> იხ: <https://www.aa.com.tr/tr/turkiye/azerbaycanin-turk-vatandaslarina-yonelik-vize-uygulamasi-kalkiyor/1541002>

დარჩა. ასევე, ამ ქვეყნების ლიდერები ეჭვით უყურებდნენ თურქეთის აქტიურ მოღვაწეობას ქვეყნის საგანმანათლებლო ასპარეზზე, რომელიც კარგა ხანს ფეთქულა გულენის მიმდევრების ხელით ხორციელდებოდა. მაგალითად, უზბეკეთმა ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაიწყო გულენის მიმდევრებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მეთვალყურეობა და საბოლოოდ, ბოლო სკოლა რომელიც 1999 წლის დახურვის ტალღას გადაურჩა და გულენის ტებთან იყო ასოცირებული, 2015 წელს დახურა.<sup>60</sup> იგივე ნაბიჯები გადადგეს თურქმენეთმა და ტაჯიკეთმაც, რომლებიც თვლიდნენ, რომ ეს სკოლები რელიგიური რადიკალიზმის გავრცელებას უწყობდნენ ხელს.<sup>61</sup> მიუხედავად ამისა, შუა აზიის ქვეყნების ეკონომიკური კავშირები თურქეთთან გრძელდება. ასევე, თურქეთი პოპულარული მიმართულებაა უზბეკი და ყირგიზი შრომითი მიგრანტებისათვის, რომლებიც თურქეთში ძირითადად მუშეობად და ოჯახებში მოსამსახურეებად მუშაობენ.<sup>62</sup> ეკონომიკური კუთხით, მნიშვნელოვანია თურქული ინვესტიციები შუა აზიის რეგიონში. შუა აზიის ქვეყნებიდან, თურქეთში ინვესტიციების განსახორციელებელი ეკონომიკური შესაძლებლობები მხოლოდ ყაზახეთს გააჩნია და ისინიც საკმაოდ შეზღუდულია.

კავკასიაში, აზერბაიჯანის გარდა, თურქეთს მნიშვნელოვანი ურთიერთობები აქვს საქართველოსთანაც, რომელიც, სტრატეგიულად, თურქეთის აზერბაიჯანთან კავშირს უზრუნველყოფს და ასევე, სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე გადის როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ისე შაჰდენიზის ნავთობისა და გაზის სადენები. თურქეთი არის საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი.<sup>63</sup> მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობაც. საქართველოში დღემდე მიიჩნევა, რომ თურქეთი, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა, დიდ პოტენციალს ფლობს საქართველოს ორგანიზაციაში განევრიანების საკითხის დასაჩქარებლად.

სომხეთთან ურთიერთობები მეტწილად თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებითაა განპირობებული და თურქეთის მიერ სომხეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის ყველა მცდელობა, უმთავრესად აზერბაიჯანის წინააღმდეგობის გამო, უშედეგოდ დასრულდა.<sup>64</sup> თურქეთი აგრძელებს სომხეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ იზოლაციას საზღვრების ჩაკეტვის გზით.

ბალკანეთში თურქეთის პოლიტიკის მთავარი ორიენტირი იქ მცხოვრებ თურქულ ან/და მუსლიმურ უმცირესობებში გავლენის გაზრდის გზით, რეგიონში საკუთარი პოზიციების გამყარებაა. ამ კუთხით, თურქეთი აქტიურად უჭერდა მხარს ალბანელებს კოსოვოში და ბოსნიელებს სერბების წინააღმდეგ. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ თურქეთი, ბალკანეთს დღემდე საკუთარი გავლენის ტრადიციულ სფეროდ მიიჩნევს, რაზეც მიგვანიშნებს მაგალითად 2018 წელს, პრეზიდენტ ერდოღანის მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქ სარაევოში გამართული წინასაარჩევნო მიტინგი.<sup>65</sup> მნიშვნელოვანია ასევე თურქეთის ეკონომიკური ინტერესები ბალკანეთში. საგულისხმოა, რომ თურქეთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია ტრადიციულად ანტითურქულად განწყობილი სერბეთისთვისაც კი.<sup>66</sup> თუმცა, ბალკანეთის ქვეყნები თურქეთს საკუთარ შიდა საქმეებში ჩარევასთან დაკავშირებული პრობლემების გამო საკმაოდ ხშირად სიფრთხილით ეკიდებიან ხოლმე. შიდაპოლიტიკაზე ზეგავლენის ნიშნების გამოვლენის გამო 2016 წელს ბულგარეთთან დიპლომატიური სკანდალიც მოხდა, რომელიც თურქი დიპლომატის ქვეყნიდან გაძევებით დასრულდა.<sup>67</sup>

<sup>60</sup> იხ: <https://www.rferl.org/a/majlis-podcast-gulen-schools/27919459.html>

<sup>61</sup> იხ: <https://eurasianet.org/turkmenistan-turkish-schools-closed-amid-concerns-of-spread-of-nurchilar-movement>, <https://thediplomat.com/2015/08/tajikistan-turkey-and-the-gulen-movement/>

<sup>62</sup> უზბეკები, ყირგიზები და თურქმენები შეადგენენ როგორც ლეგალურად დასაქმებული, ისე არალეგალურად მცხოვრები/მომუშავე უცხოელების მნიშვნელოვან ნაწილს,

<sup>63</sup> იხ: <https://ticaret.gov.tr/blog/ulkelerden-ticari-haberler/gurcistan/gurcistan-in-dis-ticaret-i-artiyor>

<sup>64</sup> რაც ზოგჯერ აბსურდამდე მიდის, მაგალითად თურქეთში გამართულ, სომხეთის და თურქეთის საფეხბურთო ნაკრებების მარზე აზერბაიჯანის დროშების შეტანის აკრძალვა, აზერბაიჯანს და თურქეთს შორის დიპლომატიური კრიზისის მიზეზი გახდა.

<sup>65</sup> იხ: <https://www.politico.eu/article/turkey-western-balkans-comeback-european-union-recep-tayyip-erdogan/>

<sup>66</sup> 2019 წელს ორ ქვეყანას შორის 2 მილიარდი დოლარის სავაჭრო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

<sup>67</sup> <http://www.diken.com.tr/nurtopu-gibi-kriz-turkiye-ve-bulgaristan-arasinda-persona-non-grata-yarisi/>

ახლო აღმოსავლეთში, რომელიც თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ასევე ტრადიციულ გავლენის სფეროდ მოიაზრება, თურქეთს ორი მთავარი ინტერესი გააჩნია, პირველი, ეს გახლავთ საკუთარი ენერგეტიკული რესურსებით სიღარიბის კომპენსირება და ამ მხრივ, თურქეთი სანქციების მიუხედავად, ირანთან ვაჭრობასაც არ ერიდება, **მეორე კი ეს გახლავთ მცდელობა, როგორმე დააბრკოლოს ქურთები, რომლებიც თურქეთის ყველაზე მსხვილ ეთნიკურ უმცირესობას შეადგენენ.** ირანთან ენერგეტიკული ურთიერთობები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თურქეთმა, აშშ-სთან საგანგებო მოლაპარაკებების გზით, გარკვეულ დონეზე ირანთან ვაჭრობის უფლებაც კი მოიპოვა.<sup>68</sup> ქურთულ საკითხთან მიმართებით კი, თურქეთი, რომელმაც თავის დროზე ვერ მოახერხა ჩრდილოეთ ერაყში ქურთული ავტონომიური ერთეულის შექმნის დაბრკოლება, ცდილობს იმავეს განმეორების დაბრკოლებას სირიაში.

სირიასთან თურქეთს დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა ტიგროსის და ევფრატის წყლის საკითხის გამო, რომელიც უმნიშვნელოვანესი იყო სირიის ეკონომიკისთვის. თურქეთის მიერ ამ მდინარეებზე კაშხალების მშენებლობა სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა სირიის ეკონომიკას და სირიაც აქტიურად უჭერდა მხარს, როგორც ქურთისტანის მუშათა პარტიას, ასევე თურქეთის შიგნით მოქმედ სხვა შეიარაღებულ ფორმირებებს.<sup>69</sup> საბოლოოდ, 1999 წელს, თურქეთმა სირია, ომის მუქარით აიძულა შეენწყვიტა ქურთისტანის მუშათა პარტიის მხარდაჭერა და მისი ლიდერი აბდულა ოჯალანი ქვეყნიდან გაეძევებინა. ხელი მოეწერა ადანის შეთანხმებას, რომელიც თურქეთს უფლებას აძლევდა გარკვეულ სიტუაციებში ქურთული ფორმირებების წინააღმდეგ სირიის ტერიტორიაზეც ეწარმოებინათ ოპერაციები.<sup>70</sup> 1999 წლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის სიტუაციის თანდათანობითი ნორმალიზაცია დაიწყო, რომელიც 2011 წლამდე გაგრძელდა. 2011 წლის შემდეგ თურქეთმა აქტიურად დაიწყო სირიის შეიარაღებული ოპოზიციის მხარდაჭერა და მიუხედავად მათი წარუმატებლობებისა, დღემდე აგრძელებს სირიის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე უარის თქმის პოლიტიკას, რაც 2020 წლის დასაწყისში სირიაში, სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ ღია სამხედრო ინტერვენციამდე მივიდა. რუსეთი და ირანი ღიად უჭერენ მხარს სირიის ხელისუფლებას. აქედან გამომდინარე, თურქეთისთვის სირიაზე თავდასხმა სერიოზულ რისკს წარმოადგენს.

მიუხედავად პრაგმატული ხაზისა, თურქეთის საგარეო პოლიტიკაში იდეოლოგიური ფაქტორი – იხვანიზმი ანუ ეგვიპტური პოლიტიკური პარტიის ძმები მუსლიმების იდეოლოგიური კუთხისადმი გარკვეული ემოციური დამოკიდებულება კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს იმისას, თუ რატომ აქვს თურქეთს დაძაბული ურთიერთობა ეგვიპტის ლიდერ ალ-სისისთან, რომელიც 2013 წელს ძმები მუსლიმების წევრის და ეგვიპტის პრეზიდენტის მუჰამედ მურსის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო გადატრიალების შედეგად გახდა ქვეყნის ლიდერი.<sup>71</sup> ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ ეს იდეოლოგიური ფაქტორია<sup>72</sup> ერთ-ერთი მიზეზი იმისა, ქურთულ საკითხთან ერთად, თუ რატომ აქვს ერდოღანს უკომპრომისო დამოკიდებულება ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების მიმართ, სწორედ ბაშარ ალ-ასადის მამა – ჰაფიზი და ბიძა რიფატი ხელძღვანელობდნენ 1979-1982 წლებში სირიაში ძმები მუსლიმების ამბოხის სისხლში ჩახშობას.

„ტრადიციული გავლენის სფეროში“ თურქეთის პოზიციების გამყარების კიდევ ერთი მხარე

<sup>68</sup> ნავთობის [იმპორტის](#) კუთხით

<sup>69</sup> თურქული პოზიცია კი, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებდნენ წყლის საკითხის როლს სირიის მიერ ამ ჯგუფების მხარდაჭერაში, მაინც სირიის მთავრობის არაკომპეტენტურობაში დადანაშაულების გარშემო ტრიალებდა. მაგალითისთვის იხ: <http://www.itobiad.com/tr/download/article-file/464992>

<sup>70</sup> იხ: <https://www.aljazeera.com/news/2019/10/analysis-adana-deal-turkey-syria-191022194719603.html>

<sup>71</sup> თურქეთის და ეროვნული შეხედულების მოძრაობის კავშირი ძმებ მუსლიმებთან ბევრად ადრინდელია ვიდრე ერდოღანის ხელისუფლება ან თუნდაც მისი პოლიტიკური კარიერა და ეს ადრეც იყო თურქეთს და სირიას შორის [უთანხმოების](#) მიზეზი, სადაც 1980-იან წლებში ძმებმა მუსლიმებმა ფართომასშტაბიანი ამბოხი მოაწყვეს.

<sup>72</sup> ერთი პერიოდი თურქეთი ძმებ მუსლიმებს სერიოზულად განიხილავდა როგორც საშუალებას, რომელსაც უნდა განეხორციელებინა „თურქული პოლიტიკური მოდელის“ [ექსპორტი](#) მუსლიმურ ქვეყნებში.



რბილი ძალაა, რომლის როლი განსაკუთრებით გაიზარდა აჰმედ დავუთოღლუს საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდში. გარდა TİKA-სი, რომელიც 1990-იანი წლებიდან აქტიურად თანამშრომლობდა ამ არეალის ქვეყნებთან, ამჯერად თურქეთმა უფრო აქტიური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, რაშიც დიდი როლი შეასრულა როგორც თურქული სერიალების ექსპორტმა<sup>73</sup>, ისე იუნუს ემრეს ინსტიტუტის ტიპის დანესებულებებმა, რომლებიც მსოფლიოში თურქული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა. ასევე ჩამოყალიბდა არაერთი სახელმწიფო დანესებულება, რომელთაც ევალეზობდათ ურთიერთობა, როგორც თურქულ დიასპორასთან, ისე ე.წ. ნათესავ საზოგადოებებთან. მაგალითად თურქული დიასპორის და ნათესავ საზოგადოებათა სამმართველო (Yurtdışı Türkler ve Akraba Topluluklar Başkanlığı – YTB) და სხვა, მეტი ყურადღება დაეთმო თურქეთში უცხოელი სტუდენტების მოზიდვის საქმესაც.

## დასკვნა

ცივი ომის შემდგომ, თურქეთის მთავარი საგარეო პოლიტიკური ამოცანა საკუთარი გავლენის ზრდა იყო სამეზობლოში, სადაც მანამდე მას ამის საშუალება არ ეძლეოდა რადგანაც, ორივეგან მისი გავლენის სფერო შეზღუდული ან ჩაკეტილი იყო ორი სუპერძალიდან ერთ-ერთის მიერ – ბალკანეთი, საბერძნეთის გარდა აღმოსავლეთ ბლოკის ნაწილი იყო, შესაბამისად სსრკ-ს პროტექციით სარგებლობდა, ირანი, ძირითადად დასავლეთის ბლოკის ნაწილი გახლდათ, ისლამური რევოლუციის შემდეგ კი თურქეთს, რომელსაც სანქციების მიუხედავად ჰაერივით ესაჭიროებოდა ირანული ნავთობი და გაზი, არ ჰქონდა მასთან ურთიერთობების გაფუჭების ფუფუნება. იგივე სიტუაცია იყო სირიაშიც, რომელიც რეგიონში საბჭოთა კავშირის უახლოესი მოკავშირე იყო. რაც შეეხება საბერძნეთს, თურქეთის ისტორიულ მეტოქეს, მასთან თურქეთს შეიარაღებული კონფლიქტიც ჰქონდა კვიპროსის საკითხის გამო, რასაც თურქეთის წინააღმდეგ ემბარგოს დანესება მოჰყვა, რომელსაც თურქეთის ეკონომიკისათვის მძიმე შედეგები მოჰყვა.

სწორედ ამ რეალობის შედეგი იყო, რომ თურგუთ ოზალის და შემდგომ თანსუ ჩილერის პერიოდის საგარეო პოლიტიკას, რამაც თურქეთისათვის არასასურველი შედეგები მოიტანა იგივე აზერბაიჯანის ახალ ხელისუფლებასთან სიტუაციის დაძაბვის ან ჩრდილო ერაყში ქურთული ავტონომიური ერთეულის შექმნის სახით, მოჰყვა ისმაილ ჯემის დოქტრინა, რომელიც, შეგვიძლია მივიჩნიოთ აჰმედ დავუთოღლუსთან ასოცირებული „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“ პოლიტიკის რეალურ საფუძვლად და წინამორბედად.<sup>74</sup> ეს პოლიტიკა ითვალისწინებდა თურქეთის უსაფრთხოების და ინტერესების დაცვას, რბილი ძალის და კულტურული კაპიტალის გამოყენებით, უსარგებლო იმპერიული ამბიციების გარეშე, ხოლო საგარეო პოლიტიკური კუთხით, იხრებოდა ევროინტეგრაციისა და ნატოს შიგნით აქტიური როლის შენარჩუნებისაკენ.

ხელისუფლებაში სამართლიანობის და აღმავლობის პარტიის მოსვლის შემდეგ, ამ პოლიტიკამ, აჰმედ დავუთოღლუს პოლიტიკური ნონის ზრდასთან ერთად, პანისლამური და ექსპანსიონისტური ელფერი შეიძინა, რომელიც ამავე დროს თურქეთის შესაძლებლობებს გადაჭარბებით აფასებდა, თუმცა, გარკვეულ სიტუაციებში იდეოლოგიურზე მეტად პრაგმატული იყო.<sup>75</sup> მიუხედავად არსებული ტენდენციისა, მეტწილად შენარჩუნდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები – ქურთული საკითხის საერთაშორისო პოლიტიკურ პრობლემად ქცევის დაბრკოლება, ევროინტე-

<sup>73</sup> რომლებიც განსაკუთრებულად პოპულარული გახდა სწორედ „ტრადიციული გავლენის ქვეყნებში“

<sup>74</sup> ისმაილ ჯემის საგარეო პოლიტიკური შეხედულებების შესახებ იხ: Ozan Örmeci – Portrait of a Turkish Social-Democrat: İsmail Cem, PHD Dissertation, Bilkent University, Ankara, 2011, გვ. 260-298

<sup>75</sup> მაგალითად შეგვიძლია თურქეთ-ჩინეთის ურთიერთობა გავისხენოთ, მიუხედავად იმ ჩაგვრისა, რასაც თურქული მოდემის უიღურები ჩინეთში განიცდიან., ოფიციალურ ანკარა დუმის [ამჯობინებს](#).

გრაცია, ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობა და „ისტორიული გავლენის არეალში“ კულტურული და ეკონომიკური, რბილი ექსპანსია.

ორიენტირების მკვეთრს ცვლილებას საფუძველი 2011 წელს, არაბული გაზაფხულის დაწყებასთან ერთად ჩაეყარა, რასაც თურქეთის ორი სუპერძალისა და ერთ-ერთი უმთავრესი რეგიონული აქტორის -ირანის წინააღმდეგ მარტო დარჩენა, ასევე ქურთული საკითხის საერთაშორისო არენაზე გადასვლა მოჰყვა. თურქეთის ხელისუფლებამ არარეალისტური იმედები დაამყარა ეგვიპტისა და ტუნისის ისლამისტური მიდრეკილებების მქონე ახალ ხელისუფლებებზე და სირიაში დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე, ძირითადად ასევე ისლამისტური სიმპათიების მქონე ოპოზიციურ ფორმირებებზე – მათი არსებობა აღქმულ იქნა, როგორც თურქეთის შანსი რეგიონში გავლენა გაეფართოებინა. სიტუაცია ძალიან მალე თურქეთის საწინააღმდეგოდ შეიცვალა – ეგვიპტეში მომხდარმა გადატრიალებამ დაამხო ძმები მუსლიმების ხელისუფლება, ახალი ხელისუფლება კი თურქეთის მიმართ მტრულად იყო განწყობილი, ტუნისში ალ-ნაჰდამ – პარტიამ, რომელიც ისლამისტურად მოიაზრებოდა, ფრთხილი პოლიტიკის გატარება ამჯობინა, ხოლო სირიაში, სირიის ხელისუფლების მხარეს ჯერ ირანი, შემდეგ კი რუსეთი აღმოჩნდნენ. სირიის შეიარაღებული ოპოზიციის შიგნით არაისლამისტური ძალების სისუსტემ კი ისლამური სახელმწიფოს სახელით ცნობილი რადიკალური დაჯგუფების აღზევება გამოიწვია, რომელმაც მოკლე ხანში სირიის და ერაყის მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიკავა. ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლის ეგიდით, აშშ-ს მეთაურობით შედგენილი საერთაშორისო კოალიცია სირიაში შევიდა და ადგილობრივ ქურთულ ძალებთან, მოგვიანებით კი მათი მეთაურობით შედგენილ, სირიის დემოკრატიულ ძალებთან ერთად, დიდ წარმატებას მიაღწია. ქურთების წარმატებებმა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოს არმქონე ხალხს დიდი საერთაშორისო ლეგიტიმაცია მოუტანა, ხოლო თავად თურქეთში, ქურთებისა და მემარცხენეების ალიანსი – ხალხთა დემოკრატიული პარტია, იქცა ძალად, რომელსაც გააჩნია სტაბილური საარჩევნო მხარდაჭერა საპარლამენტო წარმომადგენლობის მისაღებად.<sup>76</sup>

ამ პერიოდში, თურქეთი, მიუხედავად ქურთული საკითხის მიმართ დამოკიდებულებისა, ქურთისტანის მუშათა პარტიასთან მიმდინარე ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისა და სამშვიდობო პროცესის გამო, იძულებული გახდა ნაკლებად ემოქმედა. 2015 წლიდან, სამშვიდობო პროცესის დასასრულის და მოგვიანებით, საპ-ის „ნაციონალისტური მოძრაობის პარტიასთან“ პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბების შემდეგ, თურქეთმა აქტიურად დაიწყო სირიელი ქურთების წინააღმდეგ მოქმედება. თურქეთი, სირიელი ქურთების საერთაშორისო პოლიტიკური ლეგიტიმაციის პირობებში, იძულებული გახდა ქურთების წინააღმდეგ მოქმედებისათვის მთავარ პოლიტიკურ აქტორებს – რუსეთს, ირანს და აშშ-ს შორის მანევრირება დაეწყო.

თურქეთმა, მართალია მოახერხა რუსეთთან დაახლოების გზით, ამერიკისგან მიეღო ნებართვა ქურთების კონტროლირებად აფრინზე, ხოლო შემდეგ რას ალ-აინზე თავდასხმისა, თუმცა, როგორც რას ალ-აინის ოპერაციამ აჩვენა, რუსეთის და სირიის ხელისუფლების მოტივაცია, არა ქურთული დე ფაქტო ავტონომიის განადგურება, არამედ მისი საკუთარ პოლიტიკურ ვექტორზე გადმოყვანა იყო, რაც თურქეთის გამოყენებით მეტნაკლებად მოახერხა კიდეც და სირიელმა ქურთებმა სირიის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები დაიწყეს. რუსეთთან დაახლოებამ აშშ-სთან ურთიერთობები მკვეთრად დაძაბა და როგორც 27-28 თებერვლის ღამით მომხდარი რუსული საავიაციო დაბომბვის შედეგები, რომელსაც ოფიციალური ცნობით 33 თურქი სამხედრო შეენირა, გვაჩვენებს, ბალანსის პოლიტიკამ კრაზი განიცადა. რუსეთთან დაახლოების ხარჯზე ევროკავშირის ქვეყნებისგან და აშშ-სგან დაშორების შედეგად, თურქეთი მეტისმეტად აღმოჩნდა დამოკიდებული რუსეთზე და შედეგად, დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერა მხოლოდ რიტორიკით შემოიფარგლა.

<sup>76</sup> თურქეთში საარჩევნო ბარიერი 10%-ია, ყველაზე მაღალი მსოფლიოში.

ამჟამად, თურქეთის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს ორი ფაქტორი განსაზღვრავს – ქურთული საკითხი, თავად თურქეთში ქურთული მოძრაობის სახალხო, მასობრივ მოძრაობად ქცევამ, თურქეთში ადრეც არსებული შიში, რომ ტერიტორიული მთლიანობა საფრთხეშია, გაამწვავა და იმის გათვალისწინებით, რომ ქურთისტანის მუშათა პარტია და სირიელ ქურთებში დომინანტური დემოკრატიული ერთობის პარტია იზიარებენ ერთ იდეოლოგიას – აპოზიმს, თურქეთი თვლის, რომ დიდი რისკია, სირიაში განმეორდეს ერაყის სცენარის უფრო მასშტაბური ვარიანტი. მნიშვნელოვანია ასევე საპ-ის პოლიტიკური პარტნიორის – ნმპ-ს ზენოლაც, რომელიც სასტიკად ეწინააღმდეგება ქურთებთან ნებისმიერი სახის კომპრომისს, მის გარეშე კი, ერდოლანს არჩევნების გზით ხელისუფლებაში დარჩენის შესაძლებლობა არ აქვს.

მეორე პრიორიტეტი კი, დღეს უკვე სავსებით არარეალისტურია და ერდოლანის პირად ამბიციებთან და შიდა პოლიტიკასთან დაკავშირებულადაც შეიძლება ჩაითვალოს. ეს გახლავთ, მცდელობა, რომ არ მოხდეს იდლიბის პროვინციის სირიის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ გადასვლა. იდლიბი კარგა ხნის განმავლობაში წარმოადგენდა თურქეთის მოსაზღვრე ტერიტორიას, სადაც, სირიის ხელისუფლება, აგზავნიდა შეიარაღებული ოპოზიციის იმ წევრებს და მოქალაქეებს, რომლებსაც არ სურდათ დარჩენილიყვნენ ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე, მათ შორის ბევრი იყო უცხოელი ისლამისტიც. ამგვარად, იდლიბი იქცა ტერიტორიად, სადაც დიდი რაოდენობით ექსტრემისტი, მათი ოჯახის წევრი და დევნილი შეიკრიბა.<sup>77</sup> ამგვარად, სირიის ხელისუფლების მიერ იდლიბის აღება ნიშნავს არა მხოლოდ სირიელი დევნილების ახალ ტალღას, არამედ ათასობით ექსტრემისტის დევნილებთან ერთად თურქეთში გადასვლასაც. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ ერდოლანი, 2019 წლის ადგილობრივი არჩევნების და ეკონომიკური კრიზისის პირობებში სწრაფად კარგავს მხარდაჭერას, ომში მარცხი კი მისი ხელისუფლების დასასრულადაც შეიძლება იქცეს.

<sup>77</sup> იხ: <https://www.nytimes.com/2017/08/13/world/middleeast/idlib-syria-displaced-militants.html>, <https://www.thetimes.co.uk/article/hundreds-of-isis-fighters-ferried-to-idlib-by-assad-m6959wgd7>